რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, ქვევით.

ხელის-მოწერა
მიიღება თბილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გრიშაშვილის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ადრესი: Въ Тифлисъ, въ редак. „Дроэба“.

„დროების“ ფასი:
წლისა . . . 9 მან. || სამის თვისა . . . 3 მან.
ნახევარ წლისა . . . 5 მან. || ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდის ასოებით, სტრიქონზე 1 კაპ., ... სტრიქონზე ნახევარი კაპ., ... 8 კაპ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ხელმეორეთ ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

## ტელეგრამმა

(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 24 ივნისს. „გოლოსს“ აეკრძალა ცალკე ნომრების გაყიდვა.

კონსტანციის სახიზარი ბუშისა უეცრებულად დაიგდეს.

ყირიმის ვენახების დათვალიერებამ დაარწმუნა ფილოქსერის კამისია, რომ, როდესაც 23 დესიატინა ფილოქსერით მოდებულ ვენახებს დასწვენ, მეყირიმში ფილოქსერა სრულიად მოსპობილი იქნებაო.

ამბობენ, რომ პროფესორი მეჩნიკოვი სამეცნიერო აკადემიის წევრობის კანდიდატად იქნება წარდგენილი.

## დღიური

ტფილისის რეალურ სასწავლებელში წელს სულ 88 (ოთხმოც-და-რვა) ყმაწვილ კაცს შეუსრულებია სწავლა. ...-ს ამათგან ჯეროვანი ატტესტატი ...-კლასიან რეალურ სასწავლებლის შესრულებისა და 30-ს დამატებით კურსის შესრულების მოწმობა მიუღიათ. ამ 88 კურს-შესრულებულებში მხოლოდ რვა ქართველი ურევია; დანარჩენი, მომეტებული ნაწილი, სომხები არიან, რუსები და სხვა ტომისანი.

* * *

„ბათუმის ფურცლის“ უკანასკნელ ...ერე ნომერში ვკითხულობთ:

„რამდენათაც ვიცით, თავისუფალ მიწებს ჩვენში ან შეძლებულ ხალხს ურიგებენ იმ პირობით, რომ დანიშნულ ვადამდინ რიგიანი შენობა გაიკეთონ და ან ისეთს პირებს, რომელთაც სამშობლოს წინაშე რაიმე დამსახურება მიუძღვისთ.

„ახლა ვიკითხოთ—რით ხელმძღვანელობდა ჩვენი ადმინისტრაცია, როდესაც ბათუმში მიწებს ურიგებდა სხვა და სხვა პირთა? თუ პირველის მოსაზრებით, მაშინ ამ ძვირფას ალაგებზე უნდა ვხედავდეთ ახლა ბოსტნებსა და უანგარიშო სახლებს, რომელნიც მაკარონის იასჩიკებს ჰგვანან! თუ დამსახურებისათვის დაურიგეს ეს მიწები, რატომ არაფერი არ ერგო იმ პირებს, რომელთაც ეს ახლად-შეძენილი ქვეყანა თავის სისხლითა აქვსთ მორწყული და რა საფუძვლით მიეღეს ადგილები სხვა-და-სხვა ლაქიებმა, მზარეულებმა და მკერავ ქალებმა? საინტერესოა ვიცოდეთ—სად გამოიჩინეს ამათ თავი და რა სარგებლობა მოუტანეს სამშობლოს?!“

* * *

ამავე გაზეთის სიტყვით, ამ თვის 15-სა და 19 არტისტს ქორიძეს გაუმართავს ბათუმში კონცერტი, რომელსაც კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია დამსწრე საზოგადოებაზედ.

* * *

ფოთი-ტფილისის რკინის გზიდამ გვწერენ, რომ ამ თვის 14-ს ფოთიდამ მომავალს მატარებელს ბელაგვარის სტანციის უფროსი გამოჰყოლია ბილეთების გასაშინჯავად და ვაგონების სახურავზე ოთხი უბილეთო კაცი უნახავს, ამის გამო ხსენებულ უფროსსა და ორ კანდუქტორს კ—კოს და რ. ა—ძეს ჯერ ლაპარაკი მოსვლიათ და მერე ჩხუბი; კანდუქტორებს პლატფორმაზედ დაუჭერიათ სტანციის უფროსი და ბევრი უცემიათ. ამ საქმის თაობაზე ორივე კანდუქტორი დაუთხოვნიათ სამსახურიდგან.

* * *

გაზ. „ბოლოსში“ დაბეჭდილია დუშეთიდამ გაგზავნილი კორრესპონდენცია, რომლიდამაც მოგვყავს შემდეგი ამბავი:

„იმ ადგილას, სადაც კავკასიის მთების ქედი მდ. არაგვისა და ქსნის სათავეებს ჰყოფს, ორს დიდს მთაზედ აშენებულია ორი დიდი ძველი მონასტერი: ლაშის წმ. გიორგისა და ალევის ოქროს-კარიანის სამებისა.

„ამ ორს მონასტერს, რომელნიც ძველის დროიდამვე თავის ძლიერებით განთქმული იყვნენ, მთელის საქართველოდამ მუდამ წელიწადს დიდ-ძალი ხალხი აწყდებოდა ხოლმე და ბევრი შესაწირავიც მოჰქონდათ. ბევრი ოქრო-ვერცხლის და ძვირფას თვალეულის ნივთები ეგულებოდა აქ ხალხს და სასოებით უვლიდა.

„ეს ნივთები თან-და-თან იპარეს, ეკკლესიას ყველა ცარცვავდა და ამის გამო დღეს ალევის მონასტერს თავის უანგარიშო ძვირფასი ნივთებიდამ დარჩა მხოლოდ ხუთი დიდი ჯვარი ვერცხლისა, ვერცხლის კანკელი და სასანთლეები, ღვთის-მშობლის ხატი ოქროთი და ძვირფასის თვლებით შემკული, და ოქროთივე შეჭედილი კარები, რომელიც რომელიღაც სპარსეთის შაჰს შეუწირავს მე-XV საუკუნეში.

„მაგრამ ვიღაც ბოროტმა სულმა არც ესენი დაზოგა: ამ ერთის თვის წინად, როდესაც ნაცვალი შევიდა ეკკლესიაში, იმას დახვდა იქ მხოლოდ ჯვრებისა და ხატების ნამტვრევი ხეები: ოქრო-ვერცხლი და თვალეული კი სულ შემოეძროთ და წაეღოთ.

„მთელი აქაური ხალხი აღელვებულია ამ ბოროტ-მოქმედებისაგან. მხოლოდ სასულიერო წოდება როგორღაც გულ-გრილად უყურებს ამ შესაძრწუნებელ საქმეს. ამბობენ, რომ ეს საქმე ისეთის პირებისაგან არის ჩადენილი, რომელთაც ეკკლესიასთან აქვთ დამოკიდებულებაო“...

* * *

უწმინდეს სინოდს ყველა კონსისტორიებისა და ეპარხიის უფროსებისაგან მოუთხოვნია მონასტრების თაობაზედ ცნობების გაგზავნა სინოდში. უნდა დაწვრილებითი სია შეადგინონ და აცნობონ—თუ რამდენი ბერ-მონაზონია თითოეულს მონასტერში, რა საქველ-მოქმედო დაწესებულება და ან სასწავლებელი, რამოდენი ეხარჯება ყველა ამაზე მონასტერს, რა მამულები, რამდენი ფული, ან სხვა რამ შემოსავალი აქვს მონასტერს და სხვ. და სხვ.

მიზეზი ამგვარი ცნობების შეკრებისა, როგორც იწერებიან, ის არის, რომ მოუსპონ საეკკლესიო ხაზინიდამ შემწეობა ისეთს მონასტრებს, რომელთაც თავის საკუთარი შემოსავალი საკმაოთა აქვს, რათა დააკმაყოფილოს ყოველი თავის საჭიროება და მოთხოვნილება.

* * *

გუშინდელს „კავკაზში“ (№ 165) დაბეჭდილია ჩინებული სტატია „ჩვენს სასულიერო სასწავლებლებზე“, რომლის ავტორი გამოიკვლევს იმის მიზეზებს—თუ რატომ ვერ აკმაყოფილებენ ეს სასწავლებელნი ჩვენში თავის დანიშნულებასა. ავტორის აზრით, ერთად-ერთი საშუალება ამ სასწავლებელთა მდგომარეობის განკარგებისათვის არის პროგრამმის შეცვლა.

„წარმოიდგინეთ—რა მდგომარეობაში უნდა იყვეს, ახლანდელი პროგრამმის წყალობით, მაგ. ტფ. სასულიერო სემინარიაში მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელიც თითქმის მარტო ქართველებისაგან შესდგება: მთელი ყურადღება შაგირდისა, მთელი იმის მეცადინეობა და ერთგულება იმაზედ უნდა იყოს მიქცეული, რომ ლათინური და ბერძნული ენები შეისწავლოს, თუმცა, რასაკვირველია, ვერც ამ ორ მკვდარ ენის შესწავლას ახერხებენ სემინარიაში; ამის შემდეგ რუსული ენის შესწავლა, რომელსაც აგრეთვე სემინარიელები რიგიანად ვერ სწავლობენ; ამას მიუმატეთ ერთი ახალი (ევროპიული) ენაც, და სამშობლო ენა—და თქვენ გაიგებთ—თუ რამდენი დრო რჩება შაგირდს სხვა საგნების ან თავად ამ ენების შესასწავლებლად.“

ბოლოს ავტორი ასე ათავებს:

„ჩვენი სასულიერო სასწავლებლების პროგრამმა იმ რიგად უნდა იყვეს შეცვლილი, რომ შაგირდებს ფიზიკურად შეეძლოსთ საგნებისა და ენების შესწავლა; რომ ამ სასწავლებლიდამ გამოსულ ყმაწვილებს შეეძლოსთ ნამდვილი სამსახური თავის ერისა და რიგიანად თავის მძიმე მოვალეობის აღსრულება იმ ქვეყანაში, რომელიც ძველადგანვე განთქმულია ღვთის-მოყვარეობით, რჯულის სასოებით. იმედი ვიქონიოთ, რომ ახალი რევიზორი ჩვენი სასულიერო სასწავლებლებისა ყოველ-ღონის ძიებას იხმარს, რომ ახლანდელზე უკეთ მაინც დააყენოს ჩვენში ამ სასწავლებლების საქმე.“

* * *

ამ თვის 15-ს ჩვენი სადგილ-მამულო ბანკების გირაოს ფურცლები ასე ფასობდნენ პეტერბურღის ბირჟაზე:

ტფილისის სააზნ. ბანკისა 18 წლისა და შვიდი თვის ას-მანეთიანი გირაოს ფურცლები—91 მან., 43 წლისა და ნახევრის ფურცლები—90 მან.

ქუთ. სააზნ. ბანკის 18 წლისა და 7 თვის გირაოს ფურცლები—87 მან., 43 წლისა და ექვსი თვის ფურცლები—87 მან.

წინა დღეებში კი ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლები მხოლოდ ხუთი შაურით ნაკლებ ისყიდებოდა ტფ. ბანკის ფურცლებთან შედარებით.

ურჩევთ ქუთ. საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელთა და განსაკუთრებით ამ ბანის გამგეობას—კარგად მოიფიქრონ—თუ რას მიეწერება ეს სამწუხარო გარემოება, რომ იმათ გირავნობის ფურცლებმა ასე უეცრად, 15 ივნისს, დაიკლეს სამი პროცენტი წინანდელ ფასთან შედარებით,—მოიფიქრონ, მოისაზრონ კარგად, შეადარონ რიცხვები, და ეცადნონ, რომ როგორმე გაასწორონ ეს ბირჟის დაუნდობლობა, თორემ ეს გარემოება ბოლოს პირ-და-პირ იმათ ჯიბეებს დაეტყობა.

## წერილი რედაქტორთან *)

ყველა ალტაცებაში ვიყავით ამ გვარის მოქმედებით მისს უსამღვდელოესობისა. მაგრამ ამ დროს უცებ გარემოება შეიცვალა და საზოგადოებასა და მისს ყოვლად-სამღვდელოებას შუა ჩამოვარდა ორი ერთმანეთის წინააღმდეგი მიმართულება ამ სკოლის დაარსების შესახებ: უეცრად, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, რომელიმე პირების გაიძვერულ და პირად ინტერესებზედ დამყარებულ რჩევის გამო, ყოვლად-სამღვდელომ გამოუცხადა საზოგადო-

*) „დროება“, № 131.

ებას, რომ ის გახსნის საეპარქიო საქალებო სკოლას, და არა საზოგადო საქალებო სასწავლებელს და ეს სკოლა უნდა იყოს განსაკუთრებით მხედველობასა და მზრუნველობას ქვეშ სასულიერო მთავრობისა. ერთის სიტყვით, ეს სასწავლებელი უნდა გარდაქცეულიყოს, მის ყოვლად-უსამღვდელოესობის აზრით, იმ ტიპის სასწავლებლად, რომელსაც აქვს კასტური ხასიათი. ამასთანავე საზოგადოებაზედ იქონია დიდი შთაბეჭდილება იმ გარემოებამ, რომ ის პირები, რომელნიც მეტის-მეტ თავ-გამოდებულად ზრუნავდნენ ამ სასწავლებლის დაარსებას იმ ზემოხსენებული გაიძვერა პირების წყალობით, როგორც ამბობენ, მის ყოვლად-უსამღვდელოესობის სახეში არა საიმედო პირებად ჩაითვალნენ. ამას გარდა აქ კიდევ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება: საზოგადოებას დიდი ხანია სურდა თავისი საქალებო სკოლის მასწავლებლად დაენიშნა აქაური საქალაქო სკოლის მასწავლებლის გ. ჯ. მეუღლე ნ. ქ., რომელსაც სამაგალითოდ დაუსრულებია ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში კურსი და რომელიც თავისი კარგის ყოფა-ქცევით და პედაგოგიური ნიჭით სრულიად აკმაყოფილებდა თვით ყოველ გვარ მოთხოვნილებას, რომელნიც საჭიროა ამნაირ სკოლის მასწავლებლისაგან. მაგრამ რამოდენიმე პირნი, რომელნიც დროებით სარგებლობდენ ყოვლად-უსამღვდელოესობის ნდობით, თავისი სხვა-და-სხვა პირად ინტერესების გამო, უარს ჰყოფდენ ზემოხსენებულ არჩევანს საზოგადოებისას და ამტკიცებდნენ, რომ, ნაცვლად გიმნაზიაში კურს დასრულებულის მასწავლებელისა ვიყოლიოთ სხვა მასწავლებელი, უფრო ნაკლები მცოდნეო; და ამისათვის ის პირები ავრცელებდნენ სხვა-და-სხვა ინსინუაციებს ზემოხსენებულ საზოგადოების კანდიდატის შესახებ. ბოროტი ენები ამბობენ, ვითომც იმის ყოვლად-უსამღვდელოესობა დაერწმუნებინოთ ამ კანდიდატის უვარგისობაზე, როგორც არა-საიმედო პირზე პოლიტიკურის მხრით. მაგრამ მე იმას არ დავიჯერებ, რომ ეს ნამდვილი იყოს და გონებით და ზნეობით განათლებული ეპისკოპოსი ალექსანდრე, განთქმული პატრიოტი ჩვენის ქვეყნისა, აძლევდეს ამ გვარ უსაფუძვლო ცილის-წამებას რაიმე ყურადღებას. ამ გვარად იმ ბოროტ პირების წყალობით ჩამოვარდა მის ყოვლად-უსამღვდელოესობას და საზოგადოებას შუა, როგორც წინეთ მოგახსენეთ, ორი დიამეტრულად წინააღმდეგი მიმართულება სკოლის დაარსების საქმეში. მართალია, ეპისკოპოსი იმ აზრის ბრძანდებოდა, რომ ამ საეპარქიო სკოლაში სხვა საზოგადოების წოდების პირებსაც უნდა ჰქონებოდა უფლება ბავშების აღზრდისა; ისიც მართალია, რომ მის უსამღვდელოესობა ერთობ გულ-მოდგინეთ და დაუზოგველად თავისი მატერიალური საშუალებისა ზრუნავდა საქალებო საეპარქიო სკოლის დაარსებისათვის, მაგრამ საზოგადოებამ ზემოხსენებულ მიზეზების გამო არჩია დაარსება საზოგადო, და არა საეპარქიო სკოლისა; ამისათვის მან გარდაწყვიტა განჩინებით, რომ მისცეს ამ სკოლას ყოველ წლობით შვიდას ოცი მანეთი თავის მხრით და აგრეთვე იზრუნოს სხვა საშუალების მოპოებისათვის. ამ სახით საზოგადო საქალებო (ოზურგეთის) სასწავლებელის მდგომარეობა დღეს დგას საიმედო საფუძველზე; ამ სასწავლებელს საზოგადოებამ დაარქვა პირველ. დაწყებითი წმ. ნინოს საზოგადო საქალებო სასწავლებელი მასწავლებლად დაინიშნა საზოგადოების კანდიდატკა ნ. ქ. და სკოლაც გაიხსნა, თუმცა ჯერ-ჯერობით უმაღლესს სამასწავლებლო მთავრობას ნება არ მოუცია. იმედი გვაქვს, რომ ეს ნებადართვაც ამ მოკლე დროში მოგვივა.

ძრიელ სასიამოვნო სანახავი იყო პირველი დღეები ამ სკოლის დაარსებისა; მთელი ოზურგეთის მოედანი გავსებული იყო ახალ-მოზარდ პატარ-პატარა ქალებით და მათი მშობლებით, რომელთა ალტაცებით მოჰყავდათ თავიანთი შვილები და ნათესავები ახლად-დაარსებულ სკოლაში. ყველა მამულის შვილი მღელვარებით შეჰყურებდა ამ გვარ საუცხოვო სურათს.

ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსი ალექსანდრე თავის მხრით აპირებს დაარსოს ზურიაში საეპარქიო საქალებო სკოლა. ამის თაობაზედ იმან მოახდინა კრება სამღვდელოებისა, რომელმაც კიდეც გარდაწყვიტა შესწიროს ამ სასწავლებელს ყოველ წლიურად ხუთას-ხუთასი მანეთი. მისი ყოვლად-უსამღვდელოესობაც თავის მხრით სწირავს ამ კეთილ საქმეს ყოველ წლიურად საჭირო ფულებს სასწავლებლის სახლის დასაქირავებლად და ეს სკოლა უთუოდ უნდა გაიხსნას 1 ენკენისთვიდამ.

ამ გვარად, ერთის მაგიერად ორი საქალებო სკოლის პატრონი ვიქნებით ამ მოკლე დროში, მაგრამ, ვგონებთ უკეთესი კი იქმნებოდა და უფრო საფუძვლიანი საძირკველი გაისკვნებოდა საქალებო სასწავლებლისა, რომ ამ ორივე სკოლას შეაერთებდნენ. ამისათვის საჭიროა მხოლოდ, რომ მის ყოვლად-უსამღვდელოესობა შემოუერთდეს საზოგადოებას და ის ფულები, რომელსაც სამღვდელოება სწირავს ამ კეთილ საქმეს, მოახმაროს მან საზოგადო წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელს მისი სამასწავლებლო სახსრების გასადიდებლად და იქონიოს მან ზრუნვა ამ სასწავლებელზე.

ამასთანავე არ შემიძლია არ დავუმატო ზემოხსენებულ გარემოებებს, რომ ამ ახალ დაარსებულ სასწავლებელს ნამდვილად აღუთქვეს აქაურ სამოქალაქო სკოლის მასწავლებლებმა და ზედამხედველმა უფასოდ სწავლება იმ პირობით, რომ ეს სკოლა დარჩეს საზოგადოების ყველა წოდების სკოლად და არა ეპარქიალურ სასწავლებლად. ეს გარემოება არ შეიძლებოდა არ გვქონოდა სახეში იმ სკოლის დაარსების დროს, რადგან ამ მასწავლებელთ და ზედამხედველს დაუმსახურნიათ საზოგადოების მხრით სრული ნდობა ამ წმინდა საქმეში.

გიორგი ხუტულაიშვილი.

ქ. ოზურგეთი, 12 ივნისს.

# ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან.

ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე 18 § ძალით, 27 ივლისს მიმდინარის 1882 წლისა, დილის თორმეტს საათზე, ქ. ქუთაისს, ბანკის სამმართველოში (ქარვან-სარაის ქუჩა, ხარაზოვების სახლები) საზოგადო-ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო-აღნიშნულთა პირთა, რადგანაც მათ წესდებისამებრ ბანკის სახვედრო გადასახადი არ შემოუტანიათ.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მეპატრონენი, იმავე წესდების მე 19 §-ის თანხმად, შეავსებენ ბანკის სახვედრო გარდასახადს და თან ვანცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნი ვალიდამ ზედ-დამატებით სხვა და სხვა შეუვსებელის გადასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშნვაზედ ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს. ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირავოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ—მანეთი მანეთად; ხოლო ვადაზედ გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურსთ, მათ შეუძლიანთ გასასყიდელთა მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძვლით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 18 აგვისტოს ამავე წლისა.

## $43^{1}/_{2}$ წლიანნი სესხნი. ქუთაისის გუბერნიის

### ა. ქუთაისის მაზრისა.

**დოდობერიძისა**, მარიამ სიმონის ასულის, კოლლეჟსკი სოვეტნიკის მეუღლისა: სოფელსა ბაშს სახნავ-სათესი და ტყე, $46^{1}/_{8}$ დესიატ.; თავნი ვალი 7,285 მან. 11 კოპ., შესავსებელი გადასახადი 472 მან.—სულ 7,757 მან. 95 კოპ.

**მისავე**: სოფელთა-ფარცხანაყანევს, ბაშს და ივანეთს სახნავ-სათესი, ტყე და სათიბი, $132^{1}/_{8}$ დესიატ.; თავნი ვალი 10,199 მან. 2 კოპ., შესავსებელი გადასახადი 654 მან. 95 კოპ.,—სულ 10,853 მან. 97 კაპ.

აზნაურის მირაბ გიორგის ძის **აბულაძის** მემკვიდრეთა: გუმანის აგარს სახნავ-სათესი, ზვარი-დაბლარი, მალლარი და ტყე 21 დესეტ. 1680 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 388 მან. 62 კაპ., შესავსებელი გადასახადი 40 მან.—სულ 428 მან. 62 კაპ.

თავადის ვლასსა ბესარიონის ძის **ღოღობერიძის**... 

თავადის ვლასსა ბესარიონის ძის **ღორთქიფანიძის მემკვიდრეთა**: სოფელსა ოფიშკვითს სახნავ-სათესი, 91 დესიატ. 1390 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 9,421 მან. 97 კაპ., შესავსებელი გადასახადი 813 მან. 46 კაპ.—სულ 10,235 მან. 43 კაპ.

კოლლეჟსკის ასესსორის ბესარიონ ანდრიას ძის **ხელთუფლიშვილის მემკვიდრეთა**: ბანოჯის აგარს სახნავ-სათესი და ტყე, 36 დესიატ. და 360 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,165 მან. 61 კაპ, შესავსებელი გადასახადი 74 მან. 4 კაპ.—სულ 1,239 მან. 65 კაპ.

**ჩახუნაშვილებისა**: გლახუა ლაზარეს-ძის და ბესარიონ გლახუას ძის, გლეხთა: ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 4 დესიატ. 300 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 194 მან. 19 კაპ, შესავსებელი გადასახადი 21 მან. 37 კაპ.—სულ 215 მ. 56 კ.

აზნაურის სიმონ ივანეს ძის **მესხის მემკვიდრეთა**: სოფელსა რიონს, სამოსახლო, სახნავ-სათესი და ტყე, 16 დესიატ. 750 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,461 მან. 91 კაპ., შესავსებელი გადასახადი 110 მან. 52 კაპ.—სულ 1,572 მან. 43 კაპ.

**მესხისა**, სიმონ სპირიდონის-ძის, აზნაურისა, სოფელსა რიონს, ეზო, ზვარები, სახნავ-სათესი და ტყე, 25 დესიატ. თავნი ვალი 1949 მამ. 25 კაპ., შესავსებული გადასახადი 50 მან. 83 კაპ.-სულ 2000 მან. 9 კაპ.

**აგიაშვილისა**, გიორგი თეიმურაზის-ძის, თავადისა. სოფელსა ტყაჩირს სამოსახლო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 114 დესიატ. 1,931 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 14,666 მან. 51 კაპ., შესავსებელი გადასახადი 896 მან. 7 კაპ. —სულ 15,562 მან. 58 კაპ.

**აგიაშვილებისა**: ქაიხოსრო, კონსტანტინე და სიმონ ბებეს ძეთა, თავადთა: სოფელსა ტყაჩირს სახნავ-სათესი და ტყე, 33 დესიატ. 1,800 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,737 მან. 74 კაპ., შესავსებელი გადასახადი 143 მან. 19 კაპ.—სულ 2,880 მან. 93 კაპ.

**კიკიანისა**, ანნა ფირანის ასულის, აზნაურისა: სოფელსა პატრიქეთს სამოსახლო და სახნავ-სათესი, 9 დესიატ. 695 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 684 მან. 45 კაპ, შესავსებელი გადასახადი 36 მან. 88 კაპ. სულ 721 მან. 33 კაპ.

**ღორთქიფანიძისა**, ქესარია ბესარიონის ასულის, თავადისა: სოფელსა ზეინდარს სახნავ-სათესი, 13 დესიატ. 300 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,466 მან. 65 კაპ., შესავსებელი გადასახადი 101 მან. 62 კაპ.—სულ 1,568 მან. 27 კაპ.

**მხეიძისა**, ივანე დავითის ძის, აზნაურისა: სოფელსა ქორეეთს სამოსახლო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 8 დესიატ. 651 კვადრ. საჟ.; თავნი ვა-

391 მან. 13 კაპ., შესავსებელი გადასახადი 49 მან. 19 კაპ.—სულ მან. 32 კაპ.

შვილის, სპირიდონ დავითის ძის, აზნაურისა: სოფელსა ქორეეთს სა- და სახნავ-სათესი, 5 დესიატ. 567 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 195 51 კაპ., შესავსებელი გადასახადი 37 მან. 42 კაპ.—სულ 232 მან. კაპ.

გოგორიშვილის, მარიამ მერაბის ასულის, აზნაურისა: სოფელთ ინა- და მზვანს სამოსახლო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 9 დესიატ. კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 980 მან. 79 კაპ., შესავსებელი გადასახადი მან. 70 კაპ.—სულ 1050 მან. 49 კაპ.

ორთქიფშანიძისა, მიხაილ გიორგის ძის, თავადისა: სოფელსა ამალღე- სახნავ-სათესი, 82 დესიატ. 1,200 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 7,846 მან. კაპ., შესავსებელი გადასახადი 495 მან. 95 კაპ.—სულ 8,342 მან. კაპ.

ერისთვისა, ივანე ოტიას ძის, თავადის: სოფელთა ამალღებას, ინა- და უხუთს სახნავ-სათესი და ზვარები, 67 დესიატ. 750 კვადრ. საჟ.; ვალი 6,865 მან. 94 კაპ., შესავსებელი გადასახადი 308 მან. 61 —სულ 7,174 მან. 55 კაპ.

ასულიანისა, პეტრე ნიკოლოზის ძის, აზნაურისა: სოფელსა წყალტუ- სამოსახლო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 14 დესიატ. 600 კვადრ. თავნი ვალი 1,180 მან. 62 კაპ., შესავსებელი გადასახადი 94 მან. 50 —სულ 1,275 მან. 12 კაპ.

მიქელაძეთა: სოლომონ, დავით და ლომონ გიორგის ძეთა, თავადთა: სა ძულაშს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 13 დესიატ. 2,208 საჟ.; თავნი ვალი 1,967 მან. 68 კაპ., შესავსებელი გადასახადი 87 25 კაპ.—სულ 2,054 მან. 93 კაპ.

მიქელაძეთა: ვალერიან და გიორგი ბეგლარის ძეთა, თავადთა: სოფელ- ძულაშს სამოსახლო და სახნავ-სათესი, 23 დესიატ. 1,104 კვადრ. საჟ.; ვალი 4,624 მან. 5 კაპ., შესავსებელი გადასახადი 376 მან. 91 კაპ. სულ 5,000 მან. 96 კაპ.

ნიჟარაძისა, მიხაილ რევაზის ძის, თავადის: სოფელსა ოფიშკვითს სა- სახლო, ზვარი და სახნავ-სათესი, 3 დესიატ.; თავნი ვალი 787 მან. 9 შესავსებელი გადასახადი 56 მან. 15 კაპ.—სულ 843 მან. 24 კაპ.

გიაშვილისა, ეგვიპტა გიორგის ასული, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს სათესი, 30 დესიატ.; თავნი ვალი 3,157 მან. 53 კაპ., შესავსებელი გადასახადი 203 მან. 75 კაპ.—სულ 3,361 მან. 28 კაპ.

ორქაშვილისა, ანნა რევაზის ასულის, კოლლეჟსკის ასესორის ქვრივი- სოფელთა მაღლაკს და ოფიშკვითს სახნავ-სათესი, 25 დესიატ. 89 კვადრ. თავნი ვალი 690 მან. 72 კაპ., შესავსებელი გადასახადი 41 მან. 29 —სულ 732 მან. 1 კაპ.

ღორთქიფშანიძისა, ეფროსინე ნიკოლოზის ასულის, თავადისა: სოფელსა სახნავ-სათესი, 6 დესიატ. 1,584 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 592 შესავსებელი გადასახადი 31 მან. 7 კაპ.—სულ 623 მან. 7 კაპ.

ერისთავისა, ვარლამ მიხაილის ძის, თავადისა: სოფელსა ეწერს სახნავ- და ტყე, 162 დესიატ. 216 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 9,867 მან. კაპ., შესავსებელი გადასახადი 404 მან. 45 კაპ.—სულ 10,271 მან. კაპ.

გიაშვილისა, მიხაილ ბეკოს ძის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს ზვარი სახნავ-სათესი, 15 დესიატ. 1251 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,177 მან. კაპ. შესავსებელი გადასახადი 146 მან. 67 კაპ.—სულ 2,323 მან. 68

მისივე: სოფელსა ტყაჩირს სამოსახლო და სახნავ-სათესი, 114 დესიატ. 217 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 15,139 მან. 97 კაპ., შესავსებელი გადა- 908 მან. 3 კაპ.—სულ 16,048 მან.

მიქელაძისა, ელიზბარ მურძაყანის ძის, თავადისა: სოფელსა ძულაშს სახლო, 2 დესიატ. 1,768 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 593 მან. 75 კაპ., შესავსებელი გადასახადი 36 მან. 78 კაპ.—სულ 630 მან. 53 კაპ.

ნიჟარაძისა, ალექსანდრა მერაბის ასულის, თავადისა: სოფელსა ოფიშ- სამოსახლო, სახნავ-სათესი და ტყე, 21 დესიატ 2,304 კვადრ. საჟ.; ვალი 1,484 მან. 31 კაპ., შესავსებელი გადასახადი 73 მან. 38 კაპ. სულ 1,557 მან. 69 კაპ.

წულუკიძისა, ქრისტინა ქაიხოსროს ასულის, თავადისა: დაბა ხონს და სოფელთა ივანდიდს, მაიდანს და ჭყვიშს სამოსახლო, სახნავ-სათესი და ტყე, დესიატ. 1113 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3,958 მან. 16 კაპ., შესავსე- გადასახადი 207 მან. 89 კაპ.—სულ 4,166 მან. 5 კაპ.

წულუკიძეებისა: დავით და ალექსი გიორგის-ძეთა, თავადთა: სოფელ- ნაშევს ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 46 დესიატ. 1050 კვადრ. საჟ; ვალი 3,067 მან. 58 კაპ., შესავსებელი გადასახადი 217 მან. 98 კ. სულ 3,285 მან. 56 კაპ.

ერისთავისა, ბაიანე სპირიდონის ასულის, აზნაურისა: სოფ. ოზჩას სა- სახლო, სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე, $10^1/_2$ დესიატ.; თავნი ვალი 692 70 კაპ., შესავსებელი გადასახადი 35 მან. 9 კაპ.—სულ 727 მანეთი კაპ.

არსენიშვილისა, მიხაილ ოქროპირის-ძის, პრიჩეტნიკისა: სოფელსა და- სამოსახლო, სახნავ-სათესი და ტყე, 16 დესიატ. 1158 კვადრ. საჟ.; ვალი 595 მან. 35 კაპ. შესავსებელი გადასახადი 31 მან. 8 კაპ.— 626 მან. 43 კაპ.

მაჩაბელთა, ნესტორ და ანეპოდისტ იესეს-ძეთა, გიორგი მიხაილის-ძის, ივანეს ასულის და მარიამ სეფეს ასულის, თავადთა: სოფ. ინეთს სახნავ-სათესი და ტყე, 176 დესიატ. 1652 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 10,915 1 კაპ., შესავსებელი გადასახადი 657 მან. 97 კაპ.—სულ 11,572 მან. კაპ.

მათივე: სოფელსა ინეთს სახნავ-სათესი და ტყე, 406 დესიატ. 192 კვადრ. საჟ; 39,393 მან. 22 კაპ., შესავსებელი გადასახადი 2,271 მან. 92 კაპ.—სულ 41,665 მან. 14 კ.

ნებიერიძეთა, ბ... ს, გლახუა და მოსე ბუჭუას-ძეთა, გლეხთა: სოფელსა ოზჩას სამოსახლო და ზვარები დაბლარი და მაღლარი, 2 დესიატინი 1500 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 694 მან. 60 კაპ., შესავსებელი გადასახადი 35 მან. 9 კაპ.—სულ 729 მან. 69 კაპ.

ჩხეიძისა, ევგენია ნიკოლოზის ასულის, აზნაურისა: სოფელთა ბაშს და ფარცხანაყანევს სამოსახლო, სახნავ-სათესი და ტყე, 79 დესიატ. 768 კვადრ. საჟ; თავნი ვალი 9922 მან. 73 კაპ., შესავსებელი გადასახადი 611 მან. 65 კაპ.—სულ 10,534 მან. 38 კაპ.

ღორთქიფშანიძის, პრისკილა ბესარიონის ასულის, თავადის: სოფელსა ოფიშკვითს სახნავ-სათესი, 18 დესიატ. 1152 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1989 მან. 85 კაპ., შესავსებელი გადასახადი 87 მან. 25 კაპ.—სულ 2077 მან. 10 კაპ.

მაჩაბელისა, ანეპოდისტ იესეს-ძის, თავადისა: სოფელსა ძულაშს სამოსახლო და სახნავ-სათესი, 28 დესიატ. 1920 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 9053 მან. 82 კაპ., შესავსებელი გადასახადი 372 მან. 14 კაპ.—სულ 9425 მან. 96 კაპ.

### ბ. შორაპნის მაზრისა.

სალაძისა, ადამ ნიკოლოზის-ძის, გლეხისა: სოფელსა დილიკაურს სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე, 3 დესიატ. 624 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 290 მან. 54 კაპ., შესავსებელი გადასახადი 28 მან. 31 კაპ.—სულ 318 მან. 85 კაპ.

ციცვიანისა, აპოლონ მერაბის-ძის, აზნაურისა: სოფელსა ღვანკითს სახნავ-სათესი, $11^1/_4$ დესიატ. თავნი ვალი 2234 მან. 11 კაპ., შესავსებელი გადასახადი 178 მან. 15 კაპ. სულ—2412 მან. 26 კაპ.

ჩხეიძისა, მელანია ქაიხოსროს ასულის, აზნაურისა. ლახუნდარას ზვარი, სამოსახლო, სახნავ-სათესი და ტყე, 26 დესიატ. 1500 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3,885 მან. 30 კაპ., შესავსებელი გადასახადი 242 მან. 44 კაპ.—სულ 4,127 მან. 74 კა.

ნიკურაძისა, ბესარიონ სიმონის-ძის, გლეხისა: სოფელსა ბილას, სახნავ-სათესი 3 დესიატ. 700 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 195 მან. 56 კაპ. შესავსებელი გადასახადი 23 მან. 51 კაპ.—სულ 219 მან. 7 კაპ.

მაჭავარიანისა, სპირიდონ სიმონის-ძის, გენერალ-მაიორის: სოფელსა ცხრა-წყაროს ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 39 დესიატ. 122 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 5,525 მან. 67 კაპ., შესავსებელი გადასახადი 231 მან. 70 კაპ.—სულ 5,757 მან. 37 კაპ.

ჯაჯიაშვილისა, სინო გიორგის-ძის, აზნაურისა: სოფელსა არგვეთს სამოსახლო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 66 დესიატ. 1291 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 6,844 მან. 35 კაპ., შესავსებელი გადასახადი 577 მან. 14 კაპ.—სულ 7,421 მან. 49 კაპ.

### გ. რაჭის მაზრისა.

გორგიაშვილისა, ივანე პაციას-ძის, გლეხისა: სოფელსა ველევს, სამოსახლო და სახნავ-სათესი, 3 დესიატ. 1400 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 196 მან. 78 კაპ. შესავსებელი გადასახადი 23 მან. 51 კაპ სულ 220 მან. 29 კაპ.

ჯაფარიძისა, ტარიელ მერაბის-ძის, თავადისა: სოფელსა ღარს სამოსახლო, ზვარი და სახნავ-სათესი, 2 დესიატ. 1800 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 682 მან. 24 კაპ., შესავსებელი გადასახადი 66 მან. 51 კაპ.—სულ 748 მან. 75 კაპ.

### დ. სენაკის მაზრის.

მიქაძეთა, ალექსანდრე ალექსანდრეს-ძის, რამინ და ბეჟან სიმონის-ძეთა; ბიგო, სოლომონ, დიმიტრი და ანტონ ბესარიონის-ძეთა და ეკატერინე პეტრეს ასულის, თავადისა, სოფელსა ჭალადიდს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 750 დესიატ., თავნი ვალი 14,666 მან. 51 კაპ. შესავსებელი გადასახადი 816 მან. 54 კაპ.—სულ 15,483 მან. 5 კაპ.

### ე. ზუგდიდის მაზრის.

დადიანისა, კონსტანტინე ლევანის-ძის, გენერალ-მაიორისა, უბრწყინვალესის თავადისა: სოფელსა ხიბულას სახნავ-სათესი და ტყე, 2050 დესიატ. 1920 კვად. საჟ.; თავნი ვალი 38,853 მან. 60 კაპ. შესავსებელი გადასახადი 1,618 მან. 21 კაპ. სულ 40,471 მან. 81 კაპ.

თავადის გიორგი ნიკოლოზის-ძის დადიანის მემკვიდრეთა: სოფელსა რიყეს სახნავ-სათესი და ტყე, 420 დესიატ. 840 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 29,817 მან. 64 კაპ., შესავსებელი გადასახადი 2,452 მან. 74 კაპ.—სულ 32,270 მან. 38 კაპ.

დადიანისა, პეტრე ნიკოლოზის-ძის, თავადისა: სოფელსა რიყეს სახნავ-სათესი და ტყე, 372 დესიატ. 1350 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 26,482 მან. 84 კაპ. შესავსებელი გადასახადი 1664 მან. 48 კაპ.—სულ 28,147 მან. 32 კაპ.

### ვ. ლეჩხუმის მაზრის.

თავადის ივანე ოტიას-ძის ჩიქოვანის მემკვიდრეთა: სოფელთა ლასურიაშა, მახაშს და უწყერს სამოსახლო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, $48^3/_4$ დესიატ.; თავნი ვალი 4872 მან. 95 კაპ., შესავსებელი გადასახადი 344 მან. 84 კაპ.—სულ 5,217 მან. 79 კაპ.

**ჩიქოვანისა**, სისო მანუჩარის-ძის, თავადისა: სოფელსა ლასურიაში სამოსახლო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 15 დესიატ.; თავნი ვალი 1364 მან. 41 კაპ., შესავსებელი გადასახადი 71 მან. 80 კაპ.—სულ 1,436 მან. 21 კაპ.

**ბაკურაძისა**, ივანე დავითის-ძის, აზნაურისა: სოფელსა იბორს სამოსახლო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 5 დესიატ. 750 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 494 მან. 76 კაპ.; შესავსებელი გადასახადი 27 მან. 7 კაპ.—სულ 521 მან. 83 კაპ.

### თბილისის გუბერნიის და მისავე მაზრისა.

**მაღალოვისა**, დავით იოსების-ძის, პოლკოვნიკისა: თელოვანის აგარს სახნავ-სათესი, სათიბარი და ტყე 141 დესიატინი 1720 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1984 მან. 55 კაპ. შესავსებელი გადასახადი 117 მან. 15 კაპ. სულ 2101 მან. 70 კაპ.

### ს. ქ. ქუთაისს.

### $18^7/_{12}$ წლიანნი სესხნი.

**წერეთელთა**: გიორგი და დიმიტრი ევთიმეს-ძეთა, ვარილ სიმონის-ძის და იოსებ ოქროპირის-ძის, აზნაურთა: ორი ერთ სართულიანი სახლი და მიწა, 2 დესიატ. 1146 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 5,655 მან. 25 კაპ., შესავსებელი გადასახადი 659 მან. 53 კაპ. სულ 6314 მან. 78 კაპ.

ელისაბედ სიმონის ასულის **ჩაჩქიძის** მემკვიდრეთა: ორი ერთ სართულიანი ხის სახლი და მიწა 3 დესიატინი 2306 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,805 მან. 93 კაპ. შესავსებელი გადასახადი 281 მან. 12 კაპ. სულ—2,087 მან. 5 კაპ.

**მათივე**: შვიდი ქვითკირის ერთ სართულიანი დუქნები და მიწა, $103^1/_2$ კვადრ. საჟენი, თავნი ვალი 2,504 მან 44 კაპ., შესავსებელი გადასახადი 353 მან 83 კაპ.—სულ 2,858 მან. 27 კაპ.

**დადობერიძისა**, გიორგი ბესარიონის-ძის კოლლეჟსკის ასსესორისა: ოთხი ქვითკირის ერთ სართულიანი მაღაზიები და მიწა, 276 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 15,401 მან. 60 კაპ., შესავსებელი გადასახადი 1,634 მან. 13 კაპ.—სულ 17,035 მან. 73 კაპ.

**კანდელაკისა**, ეკატერინა ანდრიას ასულის, აზნაურისა: ორი სახლი და მიწა, 192 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,484 მან. 10 კაპ., შესავსებელი გადასახადი 381 მან. 53 კაპ.—სულ 2,865 მან. 63 კ.

თავადის ვლასა ბესარიონის-ძის **ლორთქიფანიძის** მემკვიდრეთა: ერთ სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა, 700 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4,968 მან. 30 კაპ. შესავსებელი გადასახადი 722 მან. 67 კაპ.—სულ 5,690 მან. 97 კაპ.

აზნაურის ბესარიონ ანდრიას-ძის **ხელთუფლიშვილის** მემკვიდრეთა: ოთხი ხის ერთ სართულიანი დუქნები და მიწა, 442 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,490 მან. 46 კაპ. შესავსებელი გადასახადი 144 მან. 71 კაპ.—სულ 1,635 მან. 17 კაპ.

**გურიელისა**, ელენე ირა მიხაილის ასულის, თავადისა: ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1230 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4238 მან. 4 კაპ., შესავსებელი გადასახადი 324 მან. 58 კაპ.—სულ 4,562 მ ნ. 62 კაპ.

**მურვანოვისა**, პეტრე სიმონის-ძის, აზნაურისა: ოთხი ქვითკირის ერთ სართულიანი დუქნები და მიწა, 210 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 678 მან. 20 კაპ., შესავსებელი გადასახადი 86 მან. 25 კაპ.—სულ 764 მან. 45 კაპ.

**შხვაცაბაიასი**, სიმონ ხალილას-ძის, აზნაურისა: ერთ სართულიანი ხის სახლი და მიწა, 248 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1356 მან. 18 კაპ., შესავსებელი გადასახადი 152 მან. 62 კაპ.—სულ 1,508 მან. 80 კაპ.

**ალხაზოვისა**, ივანე პაციას-ძის, მოქალაქისა: ორი სახლი ორ სართულიანი და მიწა, 335 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3,540 მან. 25 კაპ. შესავსებელი გადასახადი 246 მან. 58 კაპ.—სულ 3,786 მან. 83 კაპ.

**იოსელიანისა**, კონსტანტინე იესეს-ძის, პოდპორუჩიკისა: ორ სართულიანი სახლი და მიწა, 344 კვადრ. საჟ; თავნი ვალი 1,062 მან. 5 კაპ., შესავსებელი გადასახადი 141 მან. 99 კაპ.—სულ 1,204 მან. 4 კაპ.

**აბაშიძისა**, სიმონ ივანეს ძის, თავადისა: ორ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 750 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 27,089 მან. 25 კაპ., შესავსებელი გადასახადი 2,273 მან. 62 კაპ.—სულ 29,362 მან. 87 კაპ.

**ლორთქიფანიძისა**, ანტონ ნიკოლოზის-ძის, თავადისა: ხუთი ქვითკირის ერთ სართულიანი დუქნები და მიწა, 116 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4,424 მან. 55 კაპ., შესავსებელი გადასახადი 413 მან. 54 კაპ.—სულ 4,838 მან. 9 კაპ.

**მისივე**: ორ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 190 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 13,186 მან. 5 კაპ. შესავსებელი გადასახადი 1,134 მან. 12 კაპ.—სულ 14,320 მან. 17 კაპ.

**დგებუაძისა**, ლუარსაბ ნიკოლოზის-ძის, აზნაურისა: ორი ქვითკირის ერთ სართულიანი სახლი და მიწა, 198 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,761 მან. 10 კაპ.; შესავსებელი გადასახადი 300 მან. 21 კაპ—სულ 3,061 მან. 31 კაპ.

**კანდელაკისა**, გერასიმე ივანეს-ძის, გუბერნსკის სეკრეტრისა: ორი ქვითკირის ერთ სართულიანი სახლები და მიწა, 162 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3,865 მან. 51 კაპ., შესავსებელი გადასახადი 435 მან. 29 კაპ.—სულ 4300 მან. 80 კაპ.

**კანდელაკისა**, დომენტი სიმონის-ძის, კოლლეჟსკის სეკრეტრისა: ორ სართულიანი სახლი და მიწი, 353 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 920 მან. 37 კაპ., შესავსებელი გადასახადი 139 მან. 26 კაპ.—სულ 1059 მან. ... კაპ.

**ლორთქიფანიძისა**, გიორგი როსტომის-ძის, თავადისა: ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 369 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,761 ... 9 კაპ., შესავსებელი გადასახადი 191 მან. 47 კაპ.—სულ 2,952 მან. ... კაპ.

**მარჯანოვისა**, კონსტანტინე ანდრიას-ძის, შტაბს-კაპიტანისა: ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 1800 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,4... მან., შესავსებელი გადასახადი 294 მან. 20 კაპ.—სულ 2,779 მან. 20 ...

**ცქიტიშვილის**, ფილიპე ზაალის ძის, აზნაურისა: ერთ სართულიანი ... სახლი და მიწა, 199 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 460 მან. 16 კაპ., შესავსებელი გადასახადი 48 მან. 83 კაპ.—სულ 508 მან. 99 კაპ.

**ჯაჯანაძისა**, პავლე გიორგას-ძის, გლეხისა: ერთ სართულიანი ხის სახლი და მიწა, 136 კვადრ. საჟ; თავნი ვალი 374 მან. 89 კაპ., შესავსებელი გადასახადი 40 მან. 47 კაპ.—სულ 415 მან. 36 კაპ.

**ჯიშკარიანისა** ტარიელ გიორგის-ძის, მოქალაქისა: ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 225 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2530 მან ... კაპ., შესავსებელი გადასახადი 230 მან. 46 კაპ.—სულ 2,761 მან. 1 ...

**ყურულოვისა**, სტეფანე გიორგის-ძის, II გილდიის ვაჭრისა: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 85 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,68... მან. 5 კაპ. შესავსებელი გადასახადი 103 მან. 30 კაპ.—სულ 1,790 მან. 35 კაპ.

**ხელთუფლიშვილისა**, თედოსია ფირანის ასულის, კოლლეჟსკის ასსესორის ქვრივისა: თორმეტი ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა, 189 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 14,058 მან. 69 კაპ., შესავსებელი გადასახადი 1,120 მან. 58 კაპ—სულ 15,179 მ. 27 კ.

**ივანოვებისა**, იოსებ და თედორე გრიგორის-ძეთა, და სულიკოვის, გიორგი ელიზბარის-ძის, მოქალაქეთა: ორ-სართულიანი სახლი და მიწა, 7... კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,430 მან. 45 კაპ., შესავსებელი გადასახადი 13... მან. 2 კ.—სულ 1,562 მან. 47 კაპ.

**ისარლოვისა**, ივანე მელქონის-ძის, აზნაურისა: ერთი ქვითკირის ორ-სართულიანი და ექვსი ქვითკირისავე ერთ-სართულიანი დუქნები და მიწა, $160^1/_2$ კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 9,536 მან. 36 კაპ., შესავსებელი გადასახადი 542 მან.—სულ 10,078 მან. 36 კ.

**ჩხეიძისა**, იოსებ მამუკას-ძის, მოქალაქისა: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 247 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 7,192 მან. 5 კაპ., შესავსებელი გადასახადი 381 მან. 18 კაპ.—სულ 7,573 მ. 23 კ.

**ჩხეიძის** მეუღლისა, ევგენია ნიკოლოზის ასულის, აზნაურისა: ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა, 1,052 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 5,72... მან. 82 კაპ., შესავსებელი გადასახადი 605 მან. 62 კაპ.—სულ 6,327 მან. 44 კაპ.

**დე-კამპო-კასოსი**, ფრანსუა ალოიზას-ძის ფრანციის ქვეშევრდომის: ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 144 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4,362 მან. 98 კაპ., შესავსებელი გადასახადი 247 მან. 75 კაპ.—სულ 4,610 მ. 73 ...

**ნიკოლაევისა**, ალექსანდრე ნიკოლოზის ძის: ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა, 197 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 1,357 მან. 37 კაპ. შესავსებელი გადასახადი 46 მან. 71 კაპ.—სულ 1,404 მ. 8 კ.

**სულიკოვისა**, გიორგი ელიზბარის-ძის, მოქალაქისა: ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა $66^3/_4$ კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,454 მან. 33 კაპ., შესავსებელი გადასახადი 87 მან. 25 კაპ.—სულ 1,541 მან. 58 კაპ.

### 3 წლიანნი სესხნი.

**ხუბეროვისა**, ატო ფარსადანის-ძის, მოქალაქისა: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 200 კვადრ. საჟ.; თავნი 2,000 მან., შესავსებელი გადასახადი 158 მან. 52 კ.—სულ 2,158 მ. 52 კ.

**გაბაშვილისა**, მაქსიმე გიორგის-ძის, კოლლეჟსკის ასსესორისა: ერთი ნაკვეთი მიწა, 2 დესიატინა და 708 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,000 მან., შესავსებელი გადასახადი 131 მან. 92 კაპ.—სულ 2,131 მ. 92 კ.

**აგიაშვილისა**, კონსტანტინე ბებეს-ძის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს ქუთაისის მაზრისა სამოსახლო, ზვარი და სახნავ-სათესი, 23 დესიატ. 1050 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,000 მან., შესავსებელი გადასახადი 180 მან. 47 კ.—სულ 2,180 მან. 47 კაპ.

**მაჭავარიანისა**, აგრაფენა ბეკოს ასულის, გენერალ მაიორის მეუღლისა: სოფ. ტყაჩირს ქუთაისის მაზრისა სახნავ-სათესი 20 დესიატ. 900 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,000 მან., შესავსებელი გადასახადი 371 მან. 83 კაპ.—2,371 მან. 83 კაპ.

**იოსელიანისა**, მართა ნიკოლოზის ასულის, აზნაურისა: დაბა ხონს ქუთაისის მაზრისა ორი ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 1 დესიატ. 618 კვადრ. საჟ; თავნი ვალი 2,000 მან, შესავსებელი გადასახადი 177 მან. 3 კაპ.—სულ 2,177 მ. 3 კ.

**ქავთარაძისა**, ბესარიონ დავითის-ძის, კოლლეჟსკი ასსესორისა: დაბა ახალ-სენაკში სენაკის მაზრის, ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 263 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3,000 მან., შესავსებელი გადასახადი 119 მან. 35 კაპ.—სულ 3,119 მან. 35 კაპ.

**ფულარიასი**, დათა ლევანის-ძის, აზნაურისა: ქალაქს ფოთს, ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა, 43 კვადრ. საჟ; თავნი ვალი 2,000 მან., შესავსებელი გადასახადი 81 მან. 90 კაპ.—სულ 2081 მ. 90 კ.

(3—1)

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Іюня 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხ.